სადაც \bar{A}_{ik} არის სიმპტომები, რომელიც მიღებულია გაზომვის შედეგად მიღებული სიგნალის დამუშავების შედეგად, A_k^{\exists} -ეტალონური მნიშვნელობა, რომელიც ჩადებულია დიაგნოსტიკის ალგორითმში.

მათემატიკურად ამოცნობის ალგორითმს აქვს შემდეგი სახე:

თუ $D_{ik} \leq \Delta_{ik}^n$ - დეფექტი არ არის


თუ $D_{ik} > \Delta_{ik}^n$ - დეფექტი არის

აქ Δ_{ik}^n არის ზღვრული მნიშვნელობა, ეს სიდიდეები მიღებულია სტატისტიკურად და ექსპერიმენტულად. თუკი ვიზრაციის დონე გაიზრდება მაგალითად ორჯერ უკვე ეს მიუთითებს დეფექტის არსებობაზე [14].

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკისათვის როგორც დამზადების პროცესში ასევე ექსპლუატაციის დროს აუცილებელია:

1. დეტალურად და სიღრმისეულად უნდა იყოს გამოკვლეული ეტალონი - სისტემა რომელიც ახლოსაა იდეალურთან;
2. უნდა შეიქმნას იმ პარამეტრების ბაზა, რომელთა მნიშვნელობებიც ნორმიდანაა გადახრილი და ჩატარდეს შესაბამისი ექსპერიმენტები;
3. უნდა მოხდეს არსებული ინფრომაციის კომპიუტერში შეტანა და დამუშავება.

ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ბლოკემას აქვს შემდეგი სახე (ნახ.2.2).




ნახ. 2.2. ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის საშუალებით ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ბლოკსქემა

2.4. ენერგეტიკული მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა ცვლილებების ტრენდისა და პროგნოზის განსაზღვრის მეთოდი ტექნიკური დიაგნოსტიკის ამოცანებში

მანქანის ტექნიკური მდგომარეობა - არის მანქანის ტექნიკური პარამეტრების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ ობიექტის ფუნქციონირების შესაძლო გადახრას ნორმისაგან და რომლებსაც თავის მხრივ მივყავართ შესაძლო გაუმართაობამდე. (ობიექტის გაჩერებამდე).

როგორც კვლევები უჩვენებენ, ზოგადად, მანქანათა ტექნიკურ მდგომარეობათა ცვლილებების დაწყებას და შემდგომში დეგრადაციული პროცესების მიმდინარეობას დროში აქვს ქვემოთ ნახ.2.3-ზე წარმოდგენილი სახე. ყველაზე ადრე ცვლილებებზე რეაგირებს ვიბრაცია, შემდეგ ხმაური, შემდეგ ტემპერატურა და ბოლოს იგრძნობა ნამწვავის სუნი და კვამლი.




ნახ.2.3. მანქანათა ტექნიკურ მდგომარეობათა ცვლილებების დაწყება და შემდგომი დეგრადაციული პროცესების განვითარება დროში

ტექნიკურ მდგომარეობათა მონიტორინგი მოიცავს დანადგარების ან მექანიზმების სტრუქტურული კომპონენტების მდგომარეობათა უწყვეტ ან პერიოდულ შეფასებებს ექსპლუატაციის პროცესში. ეს იძლევა ნებისმიერი მტყუნებისა და დეფექტების გამოვლენისა და მათი წინასწარმეტყველების (პროგნოზის) შესაძლებლობებს, რასაც მოაქვს არსებითი სარგებლობა, კერძოდ, ამცირებს მომსახურების დანახარჯებს, ზრდის მანქანათა მზადყოფნას, ამცირებს სათადარიგო ნაწილების გამოყენებისა და შენახვის საჭიროებას და აუმჯობესებს უსაფრთხოებას [16].

ტექნიკური მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის ამოცანებში მანქანათა ტექნიკურ მდგომარეობათა კონტროლის დროს შესაძლებელია ორი მიდგომა.

პირველი მიდგომა მდგომარეობს მანქანის წარმომადგენლობითი პარამეტრების ცვლილებათა მუდმივი კონტროლის ორგანიზაციაში (ცვლილებათა ტრენდის, ტენდეციის). ამ პარამეტრების ცვლილებები ახასიათებენ მანქანის ტექნიკურ მდგომარეობათა ცვლილებებს მუშაობის პროცესში, იმისათვის რომ მივუთითოთ დრო, როდესაც ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების სიჩქარე გახდება კრიტიკული. წარმომადგენლობით პარამეტრში იგულისხმება, მაგალითად: ვიბრაციის ან ხმაურის ჯამური დონეები, ან მათი სპექტრალური მდგენელების დონეები, სრული ვიბრაციული ენერჯია, ტემპერატურა, წნევა, დენი, ძაბვა და ა.შ..

მანქანის მუშაობის ტექნიკურ მდგომარეობათა წარმომადგენლობითი პარამეტრის (მაგალითად, ვიბროსიგნალის) ტიპურ დამოკიდებულებას დროზე აქვს ქვემოთ ნახ.2.4-ზე წარმოდგენილი სახე.



ნახ.2.4. მექანიზმის კვანძის წარმომადგენლობითი პარამეტრის ტექნიკური

მდგომარეობის ტიპური ქცევა მუშაობის პროცესში

T_1 - მიმუშავების პერიოდი, T_2 - ნორმალური ფუნქციონირების პერიოდი, T_3 - დეფექტის ჩასახვისა და განვითარების პერიოდი, T_r - დანიშნული რესურსის დრო, T_g - ფაქტიური რემონტის ვადის დრო, T_s - ავარიის დადგომის დრო, U_n - ნორმალური ფუნქციონირების დონე, U_e - დასაშვები დონე, U_a - ავარიული დონე.

მკვეთრად გამოირჩევა სამი პერიოდი: მანქანის ნაწილების მიმუშავების (მიხახუნების, მორგების) პერიოდი (T_1 - ყვითელი ფერი გრაფიკზე), ნორმალური მუშაობის პერიოდი (T_2 - მწვანე ფერი) და დეგრადაციის პერიოდი (T_3 - წითელი ფერი), როდესაც ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების სიჩქარე იზრდება დროის მიხედვით. ამ დამოკიდებულებიდან გამოდის, რომ სარემონტო სამუშაოების ჩატარების დრო T_r (დანიშნული რესურსი) ბევრად უფრო ნაკლებია ვიდრე ფაქტიური ვადა T_g , როდესაც ეს რემონტი ხდება აუცილებელი.

ტრენდური მახასიათებელი (მახასიათებლის განვითარების ტენდენცია) იძლევა შესაძლებლობას მოვახდინოთ ტექნიკურ მდგომარეობათა კატასტროფული ცვლილებების დადგომის მომენტის პროგნოზირება. აქედან გამომდინარე,

შესაძლებელია დარჩენილი რესურსის პროგნოზირება და ფიზიკურად დასაბუთებული რემონტის დაგეგმვის ვადის განსაზღვრა.

ეს მეთოდი რეკომენდირებულია ძვირადღირებული უნიკალური ან საპასუხისმგებლო ტექნიკური ობიექტებისათვის, რომელთა მუშაუნარიანობის დარღვევას შეუძლია მიგვიყვანოს კატასტროფულ შედეგებამდე, მათ შორის ადამიანების ჯამრთელობასთან და სიცოცხლესთან დაკავშირებულს.

რაც უფრო ადრე გამოვლინდება დეფექტი, მით უფრო მეტია ალბათობა ავარიული სიტუაციის დროულად თავიდან აცილებისა. ამიტომაც, რომ მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის ეტაპზე ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩასახული დეფექტების ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის მეთოდებს, რომლებიც იძლევიან კარგ შედეგებს.

მეორე მიდგომა (საკონტროლო შემოწმება) დაფუძნებულია ტექნიკურ მდგომარეობათა წარმომადგენლობითი პარამეტრების ეპიზოდურ კონტროლზე და მათ შედარებაზე ზღვრულ მნიშვნელობებთან, რომლებიც თავის მხრივ არიან დადგენილი საკმაოდ ბევრი წინასწარ ჩატარებული დიაგნოსტიკური ექსპერიმენტების საფუძველზე. საკონტროლო შემოწმების მეთოდი მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას იმ მანქანების და ნაწილების გამოვლენისათვის რომლებიც იმყოფებიან კრიტიკულ მდგომარეობაში [15].

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს და გავითვალისწინებთ ყოველდღიური პრაქტიკის შედეგებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის მეთოდების გამოყენება მანქანათა ექსპლუატაციის ეტაპზე იძლევა შესაძლებლობას დაუსაბუთებელი გადასინჯვის ლიკვიდაციის ხარჯზე, რომელიც ამცირებს რესურსს, გაგრძელებული იქნას დანადგარის მუშაობის ვადა, შემცირებული იქნას ექსპლუატაციის ღირებულება მუშაობის დროს, სათანადო ნაწილებისა და საწვავ-საპოხი მასალების ეკონომიის ხარჯზე, ხოლო წარმოების პირობებში ავამაღლოთ დანადგარის ეფექტურობა დაუსაბუთებელი გაჩერებების ხარჯზე.


ავტომატიზირებულ წარმოებებში დიაგნოსტიკის მეთოდების გამოყენება იძლევა შესაძლებლობას ვაწარმოოთ ტექნოლოგიური პროცესების სიზუსტის პარამეტრების უწყვეტი კონტროლი, რაც არის გარანტია მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა,

დანადგარების მოცდენების, პროფილაქტიკური დათვალიერებისა და წინასწარ დაგეგმილი მიმდინარე რემონტისათვის დროის შემცირებით.

ზოგადად, მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის მეთოდების (განსაკუთრებით ვიბროაკუსტიკური მეთოდების) დანერგვა პრაქტიკაში იძლევა ტექნოლოგიური პროცესების მაღალი დონის ოპტიმიზაციის დიდ შესაძლებლობებს.


Mathcad-ში არის ფუნქციები: `detrend` და `predict` ცვლილებათა ტრენდის განსაზღვრისათვის და ცვლილებათა პროგნოზისათვის (ბურგის ფუნქცია, დაფუძნებული ავტორეგრესიულ მეთოდზე), რომლებიც კარგ პრაქტიკულ შედეგებს იძლევიან [42]. საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ ეს ფუნქციები, მაგალითად ქვემოთ მოყვანილ მოდელირებულ სიგნალზე (ნახ.2.5.) შევწყვიტოთ პროცესი ნებისმიერ დროის მონაკვეთში და გავაკეთოთ მოსალოდნელი წერტილების პროგნოზი და ვიპოვოთ ტრენდი (ნახ.2.6).

$$x_i := A1 \cdot \cos(2 \cdot \pi f_1 \cdot t_i) + \sum_{k=1}^4 (A_k \cdot \cos(2 \cdot \pi \cdot f_k \cdot t_i))$$




ნახ.2.5. მოდელირებული სიგნალი

Last 12 points results and future 12 points forecasts



ნახ. 2.6. შეწყვეტილი სიგნალის მოსალოდნელი წერტილების პროგნოზი და ტრენდი როგორც ვხედავთ ეს მეთოდი მაღალი სიზუსტით აკეთებს წერტილების პროგნოზს თვით პროცესიდან გამომდინარე. რეალურ სისტემებში, თუ პროცესში არის რაიმე კანონზომიერება, მეთოდი ავლენს ამ კანონზომიერებას და იყენებს მას პროცესის მოსალოდნელი წერტილების მაღალი სიზუსტით პროგნოზისათვის. გამოვიყენოთ ეს მეთოდი ჰიდროენერგოაგრეგატის ტურბინის საკისრის ვიბრაციის ჯამური დონის (დბ) ტრენდისა და ცვლილებათა მოსალოდნელი პროგნოზისათვის.

დბ, ვიბრაციარება



ნახ.2.7. ტექნიკურ მდგომარეობათა ტრენდისა და პროგნოზის განსაზღვრის მაგალითი

როგორც კი დაიწყება საკისარში დეგრადაციული პროცესები, სენსორიდან წამოსულ სიგნალს მეთოდი უკეთებს პროგნოზს და საზღვრავს ტრენდს, რაც მიანიშნებს ოპერატორს საჭირო მოქმედებებისათვის. იდეალურია ეს მიდგომა პროცესების ავტომატიზაციისათვის, მითუმეტეს, რომ დღესდღეობით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ვიბრაციული სიგნალების გამოყენებით ავტომატიზირებული მართვის სისტემების შესაქმნელად.

2.5. მაღალსიხშირული ვიბრაციული სიგნალის შემომვლელის სპექტრალური ანალიზის გამოყენება ჰიდროენერგოაგრეგატების სრიალის საკისრების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკისათვის

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის სისტემის მაღალი უტყუარობისათვის საჭიროა, რომ სტანდარტულ სიტუაციებში გაზომვები ჩატარდეს სისტემატურად (ან გარკვეული პერიოდულობით, მაგალითად, კვირაში ერთჯერ); მანქანის ერთიდაიგივე წერტილებში; მანქანის სტაბილურ ბრუნვის სიხშირეებზე და მუშაობის სტანდარტულ რეჟიმებში.


სრიალის საკისრებში მოქმედებენ ხახუნის ძალები და აგრეთვე ძალები, რომლებიც თან ახლავთ როტორის ავტორხვევებს საკისარში. ეს ძალები არიან სტატიკური დატვირთვის და ხახუნის ძალების არაწრფივი ურთიერთქმედების შედეგი, რადგან როტორი გამოყავს წონასწორობის მდგომარეობიდან ხახუნის ძალებს და უკან აბრუნებს სიმძიმის ძალა – ადგილი აქვს როტორის ავტორხვევებს. ასეთი არამდგრადი წონასწორობის მიზეზი არის ხახუნის ძალების არაწრფივი დამოკიდებულება შეზეთვის ფენის სისქეზე, რომელიც იზრდება როტორის წონასწორობის მდგომარეობიდან გადახრასთან ერთად. ავტორხვევების სიხშირე მით უფრო ნაკლებია, რაც მეტია ღრეჩო საკისარში, ანუ რაც მეტია მისი ცვეთა [40].

როგორც წესი, ავტორხევეების სიხშირე იცვლება ნახტომებით $f_{\text{ნ}}$ სიხშირიდან $\frac{1}{2} f_{\text{ნ}}$ სიხშირემდე, ზოგჯერ, $\frac{1}{3} f_{\text{ნ}}$ სიხშირემდე, ცვეთის მიხედვით. ავტორხევეების მიზეზი შეიძლება იყოს არამართო სრიალის საკისრის ცვეთა, არამედ შეზეთვის ხარისხის შემცირება ან ზეთის საკისარში მიწოდების დარღვევა.

დარტყმითი ძალები, რომლებიც მოქმედებენ სრიალის საკისრებში, არიან ორი სახის. “მშრალი” დარტყმა ზეთის ფენის გარღვევით ძალიან საშიშია, მაგრამ ხდება იშვიათად და თან ახლავს მაღალსიხშირული ვიბრაციის მნიშვნელოვანი ზრდა [6].

“ჰიდრავლიკური” დარტყმა, რომელიც არ აზიანებს ზეთისფენას, არამედ საკისრის არაერთგვაროვანი ცვეთის გამო დატვირთვის ზონაში, სადაც შეზეთვის სისქეს და მოძრაობის სიჩქარეს აქვთ ნახტომები, წარმოიშობა ნაკადის ტურბულენტური “მოწყვეტა”. შეზეთვის ნაკადის “მოწყვეტის” მომენტი აღიქმება ვიბრაციების მზომი სისტემებით როგორც დარტყმა, რომელსაც თან ახლავს მაღალსიხშირული ვიბრაციების იმპულსური ზრდა. ასეთი “დარტყმა” არ იწვევს საკისრის სწრაფ რღვევას, მაგრამ იწვევს მის არაერთგვაროვან ცვეთას.


ხახუნის ძალებით გამოწვეული სრიალის საკისრების სწორი დიაგნოსტიკა ხდება პრაქტიკულად ყოველთვის საკისრის დაბალსიხშირული ვიბრაციების სპექტრის და მაღალსიხშირული (> 5 კჰც-ზევით) ვიბრაციები სშემომვლების სპექტრის ერთობლივი გაზომვებით.



ნახ.2.8. ადებული ვიბრაციული სიგნალის სპექტრის შემომვლელი რადიალური, ტანგენციური და ვერტიკალური მიმართულებებით

სრიალის საკისრის დეფექტებს აქვთ სამი ძირითადი სიმპტომი:


1. შემომვლელის სპექტრში ჩნდება ამაღლება, აწევა დაბალ სიხშირეებზე. მიზეზი: ადგილი აქვს ზეთის სისქის და ადგილმდებარეობის ფლუქტუაციას, რომელიც შემთხვევით ვიბრაციას მოდულაციას უკეთებს დაბალსიხშირული შემთხვევითი პროცესით (ნახ.2.8).



ნახ.2.9.სრიალის საკისრის ცვეთისას მაღალსიხშირული ვიბრაციების შემომვლელის სპექტრი

(აღმოჩენილი ზეთის სოლის არასტაბილურობით)

2. ჩნდება მდგენელი – ბრუნვის სიხშირის სუბჰარმონიკა $1/2$ ან $1/3$. მიზეზი: საკისარში იწყება როტორის ავტორხევები, რაც არის ვიბრაციების წყარო ბრუნვის სიხშირის სუბჰარმონიკებზე. (ნახ.2.9.)



ნახ.2.10.სრიალის საკისრის ვიბრაციების შემომვლელის სპექტრი როტორის ავტორხევებით

3. საკისრის მაღალსიხშირული ვიბრაციების შემომვლელის სპექტრში ჩნდება სუსტად მიღევადი მდგენელების მწკრივი, რომლებიც როტორის ბრუნვის სიხშირის ჯერადია. მიზეზია: დარტყმების (მშრალი და ჰიდრავლიკური) წარმოშობა. (ნახ.2.10.)




ნახ.2.11.სრიალის საკისრის ვიბრაციების შემომვლელის სპექტრი. ა) დეფექტის გარეშე; ბ) საკისარში დარტყმების შემთხვევაში

საბოლოოდ – მანქანის (რომელსაც ერთი ბრუნვის ღერძი აქვს) საკისრის ტექნიკური მდგომარეობის უტყუარი დიაგნოსტიკისა და პროგნოზისათვის (ვიბრაციების ერთჯერადი გაზომვებით) საკმარისია ჩატარდეს სამი გაზომვა:


1. ვიბრაციის დაბალსიხშირული სპექტრის;
2. მაღალსიხშირული შემთხვევითი ვიბრაციების შემომვლელის სპექტრის;
3. მაღალსიხშირული ვიბრაციების ფორმის (მხოლოდ ორი პარამეტრი - საშუალო კვადრატული მნიშვნელობა და კრესტ-ფაქტორი).

საჭიროა აგეთვე ვიბრაციების ჯამური (ინტეგრალური) დონის გაზომვა და ზღვრული მნიშვნელობების ცოდნა.

ჰიდროენერგოაგრეგატისათვის (ნახ.2.11.) ტურბინა (მუშა თვალი) არის ძირითადი ვიბროაქტიური კვანძი და იგი მოითხოვს დეტალურ ვიბრაციულ მონიტორინგს, ანალიზს და დიაგნოსტიკას. ვიბრაციების ამგზნები ძირითადი ფაქტორი წყალია, მისი წნევა და პულსაცია გადაეცემა როტორზე დამაგრებულ ტურბინის ფრთებს, შემდეგ საკისრებს და აგრეგატის კორპუსს. ეს პროცესი სტრუქტურულად მოცემულია ნახ.2.12-ზე.



ნახ.2.12. ჰიდროენერგოაგრეგატის პრინციპული სქემა



ნახ.2.13.ჰიდროენერგოაგრეგატში ვიბრაციების გავრცელების სტრუქტურული სქემა

წყლის წნევის პულსაციას შემთხვევითი ხასიათი აქვს და მისი ზემოქმედების შედეგად გენერირდება შემთხვევითი მაღალსიხშირული ვიბრაციები და მხაური.

ვიბრაციების შედეგად შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს:

1. ტურბინის (მუშათვალის)ცემას;
2. მისი ცალკეული ფრთების დეფექტებს;

3. წყლის ნაკადის ტურბულენტობის ზრდას;

4. წყლის კავიტაციას.

რომელთა დიაგნოსტიკებისათვის გამოიყენება მაღალსიხშირული ვიბრაციების შემომვლელის სპექტრალური ანალიზი.

ტურბინის დიაგნოზის უტყუარობა იზრდება, თუ აგრეგატის ტურბინის საკისრის კვანძის მაღალსიხშირული ვიბრაციების შემომვლელის სპექტრის გარდა გაიზომება და გაანალიზდება დაბალსიხშირული ვიბრაციების სპექტრი. ვიბრაციების ფრთების მდგენელებზე ($n f_0$, მაგალითად, თუ ფრთების რიცხვი $n=20$, და $f_0=5$ ჰც მაშინ 100, 200, 300 ჰც და ასე შემდეგ) და ბრუნვის ჰარმონიკებზე ($f_0=5$ ჰც, 10, 15 ჰც და ასე შემდეგ) მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ბევრად უფრო ზუსტად განისაზღვროს დეფექტების სიდიდეები.

ყველა მოქმედი ძირითადი რხევითი ძალები განისაზღვრებიან წყლის ნაკადის, ტურბინის ფრთებისა და კორპუსის შიგა ზედაპირის ურთიერთქმედებით.

ძირითადი ძალა, რომელიც მოქმედებს ტურბინის ყოველ ფრთაზე – არის ნაკადისა და ფრთის ურთიერთქმედების “ამწე” ძალა. ფრთები განლაგებულია კუთხით ნაკადის მიმართ სპეციალურად, ისე რომ ამწე ძალების ჯამი, რომლებიც მოქმედებენ ერთგვაროვან ნაკადში უდეფექტო ტურბინაზე, მიმართულია მისი ბრუნვის ღერძის გასწვრივ და არ გააჩნია ცვლადი მდგენელები.

ტურბინის რომელიმე ფრთის ამწე ძალის მიმართულების ან სამუალო მნიშვნელობიდან გადახრის შემთხვევაში წარმოიშობა რადიალური ძალა (ბრუნვის სიხშირის) და იმავე სიხშირის ძალთა მომენტი, რომლის ვექტორი მიმართულია ბრუნვის ღერძის პერპენდიკულარულად.

წყლის ნაკადის არაერთგვაროვნების შემთხვევაში ტურბინის ზონაში მოქმედებს რადიალური ძალა და იგივე ბუნების ძალთა მომენტი, რომელთა სიხშირე განისაზღვრება ტურბინის ფრთების რიცხვით. ამ სიხშირეს ფრთების სიხშირე ეწოდება $f_g = f_0 * n$, თუ ფრთების რიცხვი $n=20$, და $f_0=5$ ჰც მაშინ 100, 200, 300 ჰც და ასე შემდეგ – ფრთების ჰარმონიკებია. ბრუნვის სიხშირის ჰარმონიკებია ამ შემთხვევაში (თუ $f_0=5$ ჰც 5, 10, 15 ჰც ...და ასე შემდეგ).

ეს ძალები და მომენტები სიხშირეებით kf_0 და kf_1 გადაეცემა ბრუნვის საყრდენების მეშვეობით აგრეგატის კორპუსს. მეორეს მხრივ, კორპუსს გადაეცემა აგრეთვე წყლის ნაკადის წნევის პულსაცია არა მარტო ამ სიხშირეებზე. ჯერ ერთი, აქ არის წნევის პულსაცია გარემოთა საზღვარზე (აერო და ჰიდროდინამიური ხახუნი). მეორე, არის წნევის პულსაცია, რომელიც გამოწვეულია ნაკადის ტურბულენტობით და ნაკადის მოწყვეტით ფრთების უკანა ნაპირებზე. მესამე, სითხის კავიტაციის ძალები თუ ადგილი აქვს კავიტაციას.

აგრეგატის კორპუსის რხევებს, ვიბრაციებს, რომლებიც გამოწვეულია წნევის ცვლადი პულსაციებით ნაკადში, აქვთ შემთხვევითი ხასიათი, და მკაცრად ფიქსირებული სიხშირე არ გააჩნიათ.

რადგან მაღალსიხშირული შემთხვევითი ხმაურისა და ვიბრაციების ანალიზის ძირითადი მეთოდი არის შემომვლელის სპექტრალური ანალიზი ამიტომ ტურბინის დიაგნოსტიკის დროს მასზე კეთდება ძირითადი კონცენტრაცია. ასეთი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გამოვლინდეს:

1. ტურბინის ცემა;
2. ცალკეული ფრთების დეფექტები;
3. ნაკადის გაზრდილი ტურბულენტობა;
4. კავიტაცია.

ამისათვის საჭიროა ვირაციების შემომვლელის სპექტრი გაიზომოს ტურბინის ფრთებთან, რაც შეიძლება ახლოს. სენსორის დაყენების წერტილები წინასწარ უნდა იქნას მომზადებული.

დიაგნოზის უტყუარობა მნიშვნელონად იზრდება, თუ აგრეთვე იზომება კორპუსის თუ საკისრის კვანძის დაბალსიხშირული სპექტრი.

სიმპტომები:

1. ტურბინის ცემა – სიმპტომი - არის დაბალსიხშირული ვიბრაციების ზრდა ჰარმონიკებზე kf_0 - ერთერთი სიმპტომი.
2. ცალკეული ფრთების დეფექტები – სიმპტომი – არის ფრთების დეფექტების სიმპტომი არის დაბალსიხშირული ვიბრაციების ზრდა ჰარმონიკებზე kf_0 დამატებული ჰარმონიკების ზრდით იგივე სიხშირეებზე შემომვლელის სპექტრში, თანაც

ჰარმონიკების დონეები შესაძლოა მეტი იყოს ფრთების ჰარმონიკების დონეებზე. შესაძლოა გამოჩნდნენ გვერდითი მდგენელები ფრთების ჰარმონიკებზე ვიბრაციის სპექტრში და მის შემომვლელში. ძირითადი განსხვავება სიმპტომების ფრთების დეფექტებისა და ტურბინის ცემის ითვლება ძირითადად ჰარმონიკების ზრდა k_f შემომვლელის სპექტრში. ფრთების ჰარმონიკები მოჩანს ტანგენციური და ვერტიკალური მიმართულებით[13].

2.6. ჰიდროენერგოაგრეგატების ეტალონური ვიბროაკუსტიკური მახასიათებლები ექსპლუატაციის პროცესში და მათი ანალიზი

ჰიდროელექტროსადგურების მრავალწლიანი ექსპლუატაციის პრაქტიკა მომსახურე პერსონალს ხმაურისა და ვიბრაციების ცვლილებით ნათლად უჩვენებს რაღაც ცვლილებებზე მომუშავე დანადგარში. მაგრამ მომსახურე პერსონალს არ აქვს ინფორმაცია აგრეგატში მომხდარი რეალური ცვლილებების შესახებ. მხოლოდ ვიბრაციებისა და ხმაურის გაზომვებითაა შესაძლებელი ტექნიკური მდგომარეობის ნორმისაგან გადახრის დადგენა, ეტალონისაგან. ეტალონი არის სისტემა, რომელიც ახლოს არის იდეალთან. ქარხანას ჰიდროაგრეგატების მწარმოებელს გააჩნია სტატისტიკურად დადგენილი ვიბრაციების დასაშვები სიდიდეების მნიშვნელობები. აგრეთვე ГОСТ 5616-89-ით განსაზღვრულია ჰიდრო გენერატორებისათვის ვიბრაციების (ორმაგი ამპლიტუდა ან რხევათა მანძილი) ყველა მიმართულებით მუშაობის ყველა დამყარებულ რეჟიმებზე არ უნდა აღემატებოდეს ამ სტანდარტით განსაზღვრულ დასაშვებ სიდიდეებს.

მაგალითად, ჰიდრო გენერატორებისათვის, რომელთა ნომინალური ბრუნთა რიცხვი უდრის 100-დან 187,5 ბრ/წუთში დასაშვები ვიბრაციების ამპლიტუდა უდრის 0.15 მმ. ეს მნიშვნელობა უნდა ჩაითვალოს ეტალონად. ზოგადად, რაც უფრო ნაკლებია ეტალონური დასაშვები სიდიდეები, მით უფრო მგრძობიარეა დიაგნოსტიკური სისტემა დეფექტების მიმართ. ჩვენ კვლევებში ვთლიდით დასაშვებ სიდიდედ

ფარდობითი სკალით 6 დბ-ს, ანუ თუ ვიბრაციები იზრდებოდა ორჯერ, მაშინ მოსალოდნელი იყო დეფექტის გამოვლენა [11].

სამუშაოებში რეკომენდირებულია ჩავთვალოთ, რომ მიმდინარე პერიოდული რხევითი პროცესი მხოლოდ იშვიათად წყდება დამახასიათებელი ცვლილებებით - ნახტომის, ტრენდის ან ამოვარდნების სახით, მდგომარეობას „ნორმა“ ენიჭება მაღალი ალბათობა. ამიტომ ექსპერიმენტებით მიღებული სპექტროგრამები და ცხრილები, როგორც ეტალონური, რეალურად შესაძლებელია გამოყენებული იქნან ჰიდრო-ენერგოაგრეგატების ვიბროაკუსტიკური კონტროლისათვის ექსპლუატაციის პროცესში. გარდა ამისა, რადგან ჩვენი გაზომვები ფარდობითია, ვიბროაკუსტიკური მონიტორინგის დროს, ანუ გუშინდელი (ან წინა) გაზომვების შედეგების შედარება ხდება დღევანდელთან და მათ შორის განსხვავებების შედარების მნიშვნელობას აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე აბსოლუტურ განსხვავებას ეტალონთან. ამიტომ დასაშვებია რხევების სიდიდეების განსაზღვრა პრობლემას არ წარმოადგენს.

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ამოცანა იხსნება დეტერმინირებული სახით, არაკორელირებული სიგნალებით წყაროებიდან და მათი გაყოფის შესაძლებლობით სიხშირულ სივრცეში. ტექნიკურ მდგომარეობათა სივრცის ანასახი სიგნალების სივრცეში და პირიქით, მიჩნეულია ურთიერთ-ცალსახად. გარდა ამისა, როგორც უჩვენა გაზომვებმა, რხევითი პროცესები ჰიდროგენერატორებში, როგორც წესი, წარმოადგენენ პოლიჰარმონიული და შემთხვევითი პროცესების ჯამს. მათ გააჩნიათ სტაციონარულობის თვისებები, ანუ არ არიან დამოკიდებული დროის ათვლის საწყისზე [9].

თავი 3

MathCad-ის შესაძლებლობების გამოყენება ვიბროაკუსტიკურ დიაგნოსტიკაში

3.1. სიგნალების დამუშავება MathCad ის სისტემაში

MathCad-ი არის კომპიუტერული მათემატიკის პოპულარული სისტემა და განკუთვნილია მათემატიკური ამოცანების ამოხსნათა ავტომატიზაციისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და განათლების სხვადასხვა დარგებში. სახელწოდება წარმოქმნილია და შედგება ორი სიტყვისაგან - Mathematika და CAD (Computer Aided Design - ავტომატური პროექტირების სისტემა).

MathCad-ი შესაძლებელია წარმატებულად იქნას გამოყენებული არა მარტო ფიზიკური დანადგარების ექსპერიმენტების მონაცემთა დამუშავებისას, არამედ მუშაობის ეფექტური მართვის, ფაქტიური მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის, მათი სრული ავტომატიზაციის ამოცანებში.

ქვემოთ მაგალითების სახით წარმოდგენილია კომპიუტერული მათემატიკის პროგრამა MathCad -ის გარემოში მანქანების ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკის ამოცანათა რეალიზაციის ძირითადი ეტაპები. ამ ამოცანების ამოხსნის საფუძველს წარმოადგენს MathCad-ისგარემოში ავტორების მიერ შემუშავებული ციფრული ანალიზატორი. ქვემოთ მოყვანილია ანალიზატორში რეალური ვიბრაციული სიგნალების შეტანისა და მისი დამუშავების (დროითი რეალიზაცია, სპექტრული წარმოდგენა, კეპსტრი, სპექტრის მომვლები) მაგალითები. ასევე განხორციელებულია მოცემული სიგნალების მოდელირება და დიაგნოზის დასმა „თუ - მაშინ“ ლოგიკის ბლოკის გამოყენებით [7].

უკანასკნელ პერიოდში კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამირების განვითარების დონე მნიშვნელოვნად ცვლის ბევრ დარგში ტექნიკური ამოცანების ამოხსნის გზებს და მეთოდებს, კერძოდ მნიშვნელოვნად ამარტივებს მათ. პირველ რიგში ეს ეხება რთული ფიზიკური პროცესების მართვის ავტომატიზაციას და მათ შორის სხვადასხვა სახის მექანიკური მოწყობილობების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის სისტემების ავტომატიზაციას, თუ წინათ ასეთი ამოცანების რეალიზაციისათვის საჭირო იყო დიდი საინჟინრო

განყოფილებები უზარმაზარი და უამრავი დანადგარებით, დღეს ამის გაკეთება შეუძლია ერთ კვალიფიცირებულ ინჟინერს „Notebook“-ით ხელში, შესაბამისად, ჩატვირთული მოქნილი პროგრამებით და ინტერნეტით.

მსოფლიო ბაზარზე არსებული და შემოთავაზებული ციფრული ანალიზატორებისა და დიაგნოსტიკის პროგრამების სიძვირე გვაიძულებს, რომ შევქმნათ და დავამუშავოთ ალტერნატიული პროგრამები. ამ მიზნით კომპიუტერული მათემატიკის სისტემა MathCad-ში შემუშავებულ იქნა ციფრული ანალიზატორი მანქანათა ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკისათვის [18]. საპროგრამო გარემოდ MathCad - ის გამოყენებამ განაპირობა ციფრული ანალიზატორის მაღალი სიზუსტე და უნივერსალურობა .

ცნობილია, რომ MathCad-ი სხვა მათემატიკური პროგრამებისაგან განსხვავდება „სასაუბრო ენის“ სიმარტივით და მას გააჩნია უნიკალური თვისება აღწეროს მათემატიკური ალგორითმები ბუნებრივი მათემატიკური ფორმით ზოგადად მიღებული სიმბოლოების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ამოსახსნელი ამოცანების მათემატიკური არსის აღქმას. ციფრული ანალიზატორის მათემატიკური გარემო მნიშვნელოვნად აფართოვებს მის შესაძლებლობებს, საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ მაღალი სიზუსტის გაანგარიშებები და ქენს ანალიზატორს პრაქტიკულ უნივერსალურობას. ანალიზატორი შეუცვლელია საკვლევი და სასწავლო ამოცანების გადაწყვეტისას, ვიბროაკუსტიკური სიგნალების მოდელირებისას, აგრეთვე დიაგნოსტიკის ექსპერტული და ავტომატიზირებული სისტემების შექმნისა და დამუშავების პროცესში[21].

უპირველესი ამოცანა ამ გზაზე არის კავშირის დამყარება ფიზიკურ დანადგარებსა (უფრო ზუსტად მათ პროგრამულ უზრუნველყოფისა) და MathCad-ის სისტემებს შორის. მსგავსი კავშირების განსახორციელებლად MathCad-ს გააჩნია მონაცემთა სპეციალური ტიპი - ფაილური მონაცემები. არსებითად ეს იგივე ვექტორები და მატრიცებია, მხოლოდ ელემენტებით, რომლებიც შესაძლებელია ჩაწერილი იქნან ტექსტური ფორმატის ფაილების სახით. მონაცემთა ფაილები არიან ფაქტიურად მატრიცები თავისი ბუნებრივი ფორმით. MathCad-ში არსებობს ასეთი ფაილების ათვლის ფაილური ოპერაციები. მათ მიერ შექმნილი ფაილები შესაძლებელია

მარტივად დათვალიერებული იქნან ნებისმიერ ტექსტურ რედაქტორში, რომლებიც აღიქვამენ ტექსტებს ASII-კოდების სახით. ფაილების ათვლის დროს ხდება სიმბოლური წარმოდგენების ელემენტების უკუგარდაქმნა რიცხვით მნიშვნელობებში. ასეთი ფორმა ამარტივებს MathCad-ის კავშირებს სხვა პროგრამებთან და უზრუნველყოფს ტექსტური ფორმატის ფაილების ურთიერთგაცვლას მაღალ დონეზე.

ბგერითი სიგნალების დასამუშავებლად MathCad-ის დამატებით SP -პაკეტი (SP-Signal Processing - სიგნალების დამუშავება) არის რამოდენიმე ფუნქცია [17].

- READ (“F”) სიგნალის ათლა ბგერითი ფაილიდან რომლის სახელი არის F;
- WRITEWAV – ბგერითი სიგნალის ჩაწერა ფაილში სახელით F სიხშირით s და ბიტური გარჩევის უნარიანობით b;
- GETWAVEINFO (“F”) - ინფორმაციის მიღება სიგნალის შესახებ (არხების რაოდენობა, სიჩქარე s, ბიტური გარჩევის უნარიანობა b და საშუალო სიჩქარე ბიტები წამში).

საკითხის დასმა. მანქანის (ან მისი ცალკეული კვანძის) ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის დროს ციფრული ანალიზატორი ამუშავებს მომუშავე მანქანის საკვლევ წერტილებში დამაგრებულ გადამწოდებებიდან მოხსნილ ვიბროაკუსტიკურ სიგნალებს, გამოყოფს მისგან სასარგებლო ინფორმაციას მანქანის კვანძის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, ანალიზებს და ადარებს სიგნალის პარამეტრებს წინა გაზომვისა და დასაშვები პარამეტრების მნიშვნელობებს. შესაძლო დეფექტების სიმპტომები და პარამეტრების დასაშვები მნიშვნელობები წინასწარ არის ცნობილი და ჩადებულია დიაგნოსტიკის ალგორითმებში.

საწყისი ინფორმაციის მომზადება. ციფრულ ანალიზატორში შემავალი სიგნალი ჩაწერილი უნდა იქნეს ბგერითი ფაილის WAV ფორმატში და ის უნდა მოთავსდეს „ციფრული ანალიზატორის“ ფოლდერში. შემდგომში ამ ფოლდერის და მასში არსებული MathCad-ის ფაილების გახსნა უშუალოდ იძლევა სიგნალების სრული დამუშავების შედეგებს, რაც აუცილებელია მანქანის ტექნიკურ მდგომარეობათა დიაგნოსტიკისათვის [23].

კომპიუტერში რეალური სიგნალის შესაყვანად აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იქნას კომპიუტერის მიკროფონის შესასვლელი და პატარა კომპიუტერული პროგრამა

SpectraLab(Sound Sechnology Inc.) სიგნალი ჩაიწერება WAV ფორმატში, რომელიც შემდგომ შეიძლება დამუშავდეს ციფრულ ანალიზატორში ან პროგრამა SpectraLab - ში [10].


თითოეული დროითი რეალიზაცია იქვანტება 16 ბიტის თანრიგით და განსხვავებული ანათვლების დონეები შეადგენს $2^{16} = 65\,536$ სხვადასხვა მნიშვნელობას. WAV ფაილიდან სიგნალის მახასიათებელი ინფორმაციის ამოსაკითხავად MathCad-ში გამოიყენება ფუნქცია GETWAVINFO, რომელიც აბრუნებს 4 განზომილებიან ვექტორს

$$\begin{pmatrix} \text{NumCannels} \\ \text{SampleRate} \\ \text{Resolution} \\ \text{AvgBytesPerSecond} \end{pmatrix} := \text{GETWAVINFO}("1.wav")$$

$$\text{GETWAVINFO}("1.wav") = \begin{pmatrix} 1 \\ 44100 \\ 16 \\ 88200 \end{pmatrix}$$

აქ NumCannels=1 არის არხების რიცხვი, SampleRate=44100 – დისკრეტიზაციის სიხშირე, Resolution=16 ანათვალში ბიტების რაოდენობა (ანუ 2 ბაიტი), AvgBytesPerSecond=88200 – გარდაქმნის საშუალო სიჩქარე (ბაიტი/წმ) [22].

ქვემოთ ნახ.3.1-ზე მოცემულია რადიალური ვიბრაციის რეალური სიგნალის MathCad -ში შეტანის და ვიზუალიზაციის მაგალითი.



ნახ. 3.1. რადიალური ვიბრაციის სიგნალის MathCad -ში შეტანის და ვიზუალიზაციის მაგალითი


$$RMS = \sqrt{\frac{1}{N-1} \sum_{i=0}^{N-1} (C_i)^2}$$

$$CrestFactor = \frac{\max(C)}{RMS}$$

ანალიზატორის მათემატიკური გარემო საშუალებას იძლევა ადვილად გამოვთვალოთ დიაგნოსტიკისათვის აუცილებელი სიდიდეები, მაგალითად, სიგნალის საშუალო კვადრატული მნიშვნელობა RMS რომელიც ვიბრაციული სიმძლავრის პროპორციულია, აგრეთვე CrestFactor-ი რომელიც წარმოადგენს სიგნალის მაქსიმუმის RMS-თან ფარდობას.

შევნიშნოთ, რომ RMS-ი და CrestFactor-ი წარმოადგენენ მნიშვნელოვან პარამეტრებს ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის პროცესში ტექნიკურ მდგომარეობათა ცვლილებების შეფასების დროს [8].

სიგნალის სპექტრალური წარმოდგენა FFT (ფურიეს სწრაფი გარდაქმნა) MathCad გარემოში ხორციელდება სპეციალური ოპერატორებით. ქვემოთ ნახ.3.2-ზე წარმოდგენილია ზემოთ მოყვანილი სიგნალის ვიწროზოლიანი სპექტრალური ანალიზის შედეგი.




ნახ. 3.2. სიგნალის ვიწროზოლიანი სპექტრალური ანალიზი

გრაფიკის ზედა ნაწილში დატანილია ჰარმონიკების ნომრები (ბრუნვის სიხშირე შეადგენს $f_1 = 61.235$ ჰც-ს). 1000 ჰც დიაპაზონში ნათლად ჩანს 16 ჰარმონიკა, რომელთა შორის მაქსიმალურია მე-4 ჰარმონიკა.

სიგნალში დაფარული პერიოდულობის გამოვლენა მანქანათა ვიბრო-დიაგნოსტიკაში ხორციელდება კეპსტრის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს სიგნალის ლოგარითმზე განხორციელებულ ფურიეს შებრუნებულ გარდაქმნას:


$$k_x(n) = 1/2\pi \left[\int_{-\pi}^{\pi} (\ln(|X(\omega)|) e^{j\omega n}) d\omega \right].$$

პრაქტიკაში კეპსტრი ხშირად განისაზღვრება, როგორც ვიწროზოლიანი სპექტრის გარდაქმნა. ქვემოთ ნახ. 3.3-ზე მოცემულია ზემოთმოყვანილი სიგნალის კეპსტრი, რომელზედაც ნათლად ჩანს ჰარმონიული მდგენელები 61,235 ჰც ძირითადი სიხშირით.




ნახ. 3.3. ვიბროსიგნალი კეპსტრი MathCad-ში

იმპულსური, არაწრფივი, შემთხვევითი რხევები და ავტორხევები მანქანებში ახდენენ მოდულირებული სიგნალების გენერირებას, რომელთა ანალიზისათვის აუცილებელია საწყისი სიგნალის მაღალსიხშირული ფილტრაცია (ნახ. 3.4.) მისი მომვლების პოვნა და ამ მომვლების დაბალსიხშირული სპექტრული ანალიზის ჩატარება.



ნახ. 3.4. საწყისი ვიბროსიგნალის მაღალსიხშირული ფილტრაცია




ნახ.3.5. მაღალსიხშირული ვიბრაციის მომვლების დაბალსიხშირული სპექტრი MathCad-ში


ნახ. 3.5-ზე მოცემულია საწყისი ვიბროსიგნალის მაღალსიხშირული ფილტრი, მისი მომვლების პოვნა ჰილბერტის გარდაქმნის გამოყენებით და შემდეგ ნახ. 3.6-ზე მოცემულია მომვლების დაბალსიხშირული სპექტრი, რაც ფრიად მნიშვნელოვანია მანქანათა ტექნიკური მდგომარეობის ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკისათვის.

განვიხილოთ MathCad-ში ვიბრაციული სიგნალის მოდელირების მაგალითი. როგორც ცნობილია, თუ ვიბრაციული სიგნალის სპექტრში მოჩანს მდგენელები ე.წ. „გვერდით“ სიხშირეებზე, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მანქანაში წარმოქმნილი მოდულირებული რხევებისაგან. ნახ.3.6-ზე ზედა ნაწილში მოცემულია მოდულირებული რხევის ანალიზური გამოსახულება, სადაც f_2 არის გადამტანი სიხშირე, f_1 – მოდულაციის სიხშირე, n -მოდულაციის სიღრმე. ზედა ნაწილში მოჩანს სპექტრის სამი მდგენელი, გვერდით სიხშირეებზე (f_1-f_2) და (f_1+f_2) და გადამტანი სიხშირეზე – f_2 . ქვედა ნახაზზე კი წარმოდგენილია მომვლების დაბალსიხშირული სპექტრი, სადაც მოჩანს მხოლოდ ერთი მდგენელი მოდულაციის f_1 სიხშირეზე. გრაფიკებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ აისახება მოდულირებული რხევები სისტემის მახასიათებლებში, და სად და როგორ უნდა ვეძიოთ მოდულირებული ელემენტები რთულ რეალურ სისტემებში [12].

$$x_i := [A1 \cdot (1 + n \cdot \sin(2\pi f1 \cdot t_i)) \cdot \sin(2\pi \cdot f2 \cdot t_i)]$$



ნახ. 3.6. მულტიპლიკაციური სიგნალი, ანალიზური გამოსახულება (a), სიგნალის ფორმა (b)



ნახ. 3.7. სიგნალის სპექტრი (a), მომვლების სპექტრი (ბ)

ანალიზატორი აგრეთვე საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნას სიგნალების დამუშავების თანამედროვე მძლავრი აპარატი (პაკეტი Signal Processing) და არა მხოლოდ ეს. MathCad სისტემის მათემატიკური გარემო და დაპროგრამების თანამედროვე საშუალებები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული დიაგნოსტიკის სრულფასოვანი ექსპერტული სისტემების აგებისათვის.

MathCad-ი აგრეთვე მოსახერხებელია დიაგნოსტიკის ავტომატიზებული სისტემების დამუშავებისა და შექმნის პროცესში, რამდენადაც ის ადვილად გამოჰყოფს სიგნალიდან ჰარმონიკებს, ჯამებს, მაქსიმუმებს, სხვა ინტეგრალურ მახასიათებლებს. MathCad -ში შეიძლება აიგოს თვითსწავლებადი საექსპერტო სისტემები და სისტემები ხელოვნური ინტელექტით. MathCad-ი თავსებადია ისეთ პროგრამებთან, როგორცაა MatLAB აგრეთვე Word, Excel და ა.შ.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ MathCad-ი ციფრული ანალიზატორის სახით წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას არა მხოლოდ როგორც დამხმარე საშუალება, არამედ როგორც მექანიკური სისტემების ტექნიკურ მდგომარეობათა სრულფასოვანი დიაგნოსტიკური სისტემების აგების საპროგრამო გარემო.

3.2. ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა ამოცანის რეალიზაცია MathCad - ის სისტემაში

დიაგნოსტიკის ამოცანის დასმა: ზოგადად ნებისმიერი მექანიკური სისტემის რხევები აღიწერებიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით:

$$L_i(x, \dot{x}, \ddot{x}, \dots, x', x'', \dots, r) = F_i \quad (3.1)$$


სადაც:

$x = (x_1, x_2, x_3, \dots, x_n)$ - განზოგადებულ გადაადგილებათა ვექტორია რომელიც დროისა და სივრცითი კოორდინატების ფუნქციაა.

$r = (r_1, r_2, r_3, \dots, r_n)$ - სისტემის კონსტრუქციული პარამეტრების ვექტორია და რიცხობრივად ახასიათებს გეომეტრიულ ზომებს, მასებს, სიხისტეებს დანაკარგებს და ასე შემდეგ.

L_i - ოპერატორები მოიცავენ დიფერენციალურ განტოლებებს საწყისი და სასაზღვრო პირობებით. თუ მოცემულია კონსტრუქციული პარამეტრები r_i და გარე ძალები F_i მაშინ სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი ცალსახად აღწერს მექანიკური სისტემის რხევებს.

დიაგნოსტიკის ამოცანა მდგომარეობს: ცნობილ x_i და F_i მეშვეობით განისაზღვროს ცვლილებები სისტემაში Δr_i სახეთა ამოცნობის თეორიით ანუ გაზომილი გამომავალი სიგნალის მიხედვით საჭიროა გაკეთდეს დასკვნა მექანიკური სისტემის ფაქტიურ ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ.




ნახ.3.8. დიაგნოსტიკის ამოცანის სტრუქტურული სქემა

აქ r_{et} და x_{et} მექანიკური სისტემის პარამეტრებისა და განზოგადებულ გადაადგილებათა ეტალონური მნიშვნელობების ვექტორია.

ეს არის დიაგნოსტიკის ამოცანის დასმა, ზუსტი მათემატიკური მიდგომით, მაგრამ როგორც პრაქტიკა უჩვენებს საჭიროა პარამეტრების განსაზღვრა მაღალი და აუცილებელი სიზუსტით. ამოცანის ამოხსნა ასეთი მიდგომით ძალიან რთულია და სასურველ შედეგებს არ იძლევა.

ამიტომ, როგორც წესი დიაგნოსტიკის ამოცანის ამოხსნა ხდება სტრუქტურულ - შედეგობრივი მოდელირების გამოყენებით. ფაქტიურად ეს არის „შავი ყუთის“ ამოცანა ცნობილია შემავალი სიგნალი და სისტემის პარამეტრები. ვიზრაციების მონიტორინგით მიღებულია და ცნობილია აგრეთვე გამომავალი სიგნალები სხვადასხვა წერტილებში და დროის სხვადასხვა მონაკვეთებში. აგრეთვე ცნობილია სტატისტიკურად ეტალონური პარამეტრები და შესაბამისი სიგნალები. დღეისთვის დიაგნოსტიკის ამოცანა ეყრდნობა ამ მონაცემებს.



ნახ.3.9. ჰიდრო ენერგოაგრეგატებისათვის დიაგნოსტიკის პროცესის ძირითადი ბლოკების დიაგრამა

აქ ძირითადი პარამეტრებია :

1. მონაცემთა ბაზა - დიაგნოსტიკური მოდელის შედგენა და ვიზუალური მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზი;

2. ცოდნათა ბაზა - შესაძლო დეფექტებისა და შესაბამისი სიმპტომების ჩამოყალიბება და მათი დასაშვები სიდიდეების დადგენა;

3. გადაწყვეტილებათა მიღება - მოგროვილი ინფორმაციის კომპიუტერში შეყვანა და კომპიუტერული დიაგნოსტიკური პროგრამით გადაწყვეტილების მიღება;

4. დიაგნოსტიკა - სადიაგნოსტიკო სისტემის ძირითადი კვანძების ტექნიკურ მდგომარეობათა შეფასება და რეკომენდაციების გაცემა ოპერატორებისათვის შემდგომი მოქმედებებისათვის.

სტრუქტურულ-შედეგობრივი მოდელი იქმნება სადიაგნოსტიკო ტექნიკური ობიექტის ლოგიკური, ფუნქციონალური და სტრუქტურული შესწავლის საფუძველზე, რაც იძლევა ნათელ წარმოდგენას სუსტი და საპასუხისმგებლო ელემენტებისა და მათი სტრუქტურული და დიაგნოსტიკური კავშირების შესახებ. ამ მოდელის გამოყენებით ხდება უმნიშვნელოვანესი დიაგნოსტიკური ნიშნების გამოყოფა, რადგან ტექნიკური დიაგნოსტიკის ძირითადი ამოცანა არის კავშირების დამყარება მანქანის გაუმართაობებს, ანუ დეფექტებს, მათ სიმპტომებსა და გაზომვის შედეგებს შორის, ამიტომ ვადგენთ ამ კავშირებს.

შესაძლო დეფექტებისა და სიმპტომების ცხრილი

ს ი მ პ ტ ო მ ე ბ ი

დეფექტები	მიმართული ჰაერბრუნის ვიზრაცია (დატვ. გარეზე)	ჰაერდენი ჰაერბრუნის ზეობის ხახეხე	მიმართული ჰაერბრუნის ტემპერატურები	ჰაერდენი ჰაერბრუნის ტემპერატურა	ზრუნვია რიცხვის იმპულსი	ხახეხევის თავეხეხევის წევის მისლის ვიზრაცია	განქრატორის პაერის ღრეხო	ხატატორის ნარის ვიზრაცია	განქრატორის ტემპერატურა	პროფეხის ველადეხე	განქრატორის ნაქრატორი განქრატორა	წევის ჰაერბრუნის კანის მდებარეობა	რგოლური ხამქრატორი / ვიზრაცის ვიზრაცია
1. მეტნიკური დებლანსი	•				•								
2. ელექტრული დებლანსი	•				•								
3. ჰიდრავლიკური დებლანსი	•				•								
4. უხეში დატვირთვის ზონა	•				•					•		•	
5. გადამჭრელი წვირის გაუმართაობა	•	•			•					•			
6. თანაღრატობის დაკარგვა	•				•								
7. კავიტაცია						•				•			
8. რგოლური ხამქრატორი- /განქრატორის რგოლის დაზიანება					•								•
9. ტურბინის გადამეტებული ვიზრაცია					•								•
10. საკისრის გადამეტორვა	•	•	•	•									
11. საკისრის დაღლილობა	•	•	•	•									
12. საკისრის არასაკმარისი შეზოვა	•	•	•	•									
13. სტატორის იზოლიაციის გაუარესება											•		
14. სტატორის ვრგნილის ვიზრაცია											•		
15. როტორის ბუდის მომზაობა					•		•						
16. სტატორის გულარის ვგლილები					•		•	•					
17. არათანაბარი ჰაერის ღრეხო					•		•	•					
18. სტატორი/როტორის არაწრიულობა					•		•	•					
19. სტატორი/როტორის კონცენტრიულობის დარღვევა					•		•	•					
20. სტატორის გაღუნვა					•		•	•					
21. სტატორის თავისუფალ ფენებად დამლა								•					
22. ღრეხოს ჰაერის გაუწონასწორებული ძალები					•		•	•					
23. სტატორის ჩართული გამციეებლები									•				
24. სტატორის ვენტლიაციის ბლოკირებული მილები									•				
25. სტატორის გადხურებული სპირალები									•				

ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ამოცანის რეალიზაციის დროს Mathcad- ის სისტემაში ფართოდ გამოყენებული იქნა ჩვენს მიერ შექმნილი რიცხვითი სპექტროანალიზატორი და ბოლოს ქვემოთ წარმოდგენილია Mathcad-ის დოკუმენტის ნაწილი, რომელიც ასახავს დიაგნოსტიკის ერთ ერთ პროცედურას - გადაწყვეტილების მიღებას, კერძოდ როტორის მექანიკური დეზალანსის დადგენას [24].

დეფექტი - მექანიკური დეზალანსი

სიმპტომი - ზედა და ქვედა მიმართველი საკისრების ვიბრაციების ჯამური დონის ზრდა, აგრეთვე პირველი ჰარმონიკის ზრდა.

დასაშვები სიდიდეები დეციბელებში: $\Delta 111 < 6$ და $\Delta 112 < 6$

$$\bar{A}_1 = [A_1(f_{\partial r})]f_1 := 53_{\partial}V_1 := 54.5V_2 := 56$$


$$\Delta 111 := V_2 - V_1 \Delta 112 := 032_{0,1} - 031_{3,1} \Delta 111 = 1.5 \Delta 112 = 9.158$$

$$D11 := \begin{cases} \text{There is defect if } \Delta 111 > 6 \\ \text{There is defect if } \Delta 112 > 6 \\ \text{There is no defect otherwise} \\ D11 := \text{There is a defect} \end{cases}$$

3.3. ვიბროაკუსტიკური სიგნალების ციფრული ზოლური ფილტრაციის ერთი მეთოდის შესახებ

ვიბრაციების და ხმაურის სიგნალებიდან მაღალსიხშირული მდგენელების გამოყოფისას ენერგეტიკული მოწყობილობების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბროაკუსტიკური მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის ამოცანებში საჭირო არის სიგნალების ციფრული ზოლური ფილტრაცია. ქვემოთ ნახ.3.10-ზე ნაჩვენებია ჰიდრო ენერგოაგრეგატის ხმაურის სიგნალის ფილტრაცია არასასურველ სიხშირეთა

”განულებით”. ვთქვათ გვაქვს სიგნალი. MathCad-ში მისი ფორმა წარმოდგენილია ნახ. 3.10-ზე




ნახ.3.10. ჰიდროენერგოაგრეგატის ვიბროაკუსტიკური სიგნალი

მოცემულია ფართე სიხშირულზოლიანი შემთხვევითი ხმაურის სიგნალი. მოვახდინოთ მისი ვიწროზოლიანი სპექტრალური ანალიზი შემდეგი პარამეტრებით:

$$m := 16 \quad N := 2^m \quad N := 6,554 \times 10^4 \quad \text{SampleRate} := 44100$$

$$\Delta := \frac{\text{SampleRate}}{N} \quad \Delta := 0,673\text{Hz} \quad f_i := i \cdot \Delta F_x := \text{fft}(c)$$

ანალიზის ბიჯი არის 0.673 ჰც და იგი მოიცავს ადამიანისათვის მთელ სმენად ბგერით დიაპაზონს. სპექტრალურ დიაგრამას ექნება შემდეგი სახე (ნახ. 3.11.)



ნახ. 3.11. საწყისი სიგნალის ვიწროზოლიანი სპექტრი


გამოვყოთ ამ სპექტრში, მაგალითად, სიხშირეთა დიაპაზონი 2000 – 5000 ჰც და დანარჩენი სიხშირეთა უბნები გავანულოთ (= 0). მივიღებთ ნახ.3.13 - ზე წარმოდგენილ სურათს.

ფილტრაცია განულებით

 $i := 0..32768$

$$F1_i := \begin{cases} 1 & \text{if } 2000 \leq f_i \leq 5000 \\ 0 & \text{otherwise} \end{cases}$$

$$M1 := \overrightarrow{(F_x \cdot F1)}$$




ნახ. 3.12. სასურველი (2000 – 5000 ჰც) დიაპაზონის გამოყოფა სპექტრში

აქ დაბალი (2000 ჰც-მდე) და მაღალი (5000 ჰც ზევით) მდგენელები აღარ არის - ისინი უდრის ნოლს.

$$M1 := \overrightarrow{(F_x \cdot F_1)}$$

ისარი ნიშნავს ვექტორიზაციის პროცედურას - ანუ მოცემული ოპერაციის შესრულებას ვექტორის ყველა ელემენტებისათვის. ახლა მოვახდინოთ ამ სპექტრის მიხედვით ფურიეს სწრაფი გარდაქმნის უკუპროცესი - ინვერსირების პროცედურა (ნახ.3.13.)




ნახ.3.13. ინვერსირების შედეგად მიღებული სიგნალი

საბოლოოდ მივიღებთ ციფრულად გაფილტრულ სიგნალს, რომელშიც იქნება მხოლოდ ზოლის სიხშირეები 2000 – 5000 ჰც. შეგვიძლია ჩავწეროთ ეს სიგნალი *.wav ფორმატში და მოვისმინოთ თუ როგორი ხმა ექნება ასეთ ხმაურს. აგრეთვე შეგვიძლია გავაგრძელოთ მისი შემდგომი დამუშავება დიაგნოსტიკის თუ სხვა მიზნებისათვის.

ამ მეთოდს აქვს თავისებურება, კერძოდ, თუ ფილტრებს ჩვეულებრივ (ანალოგურს თუ ციფრულს) აქვთ ტრაპეციის მახასიათებელი, აქ მახასიათებელი არის მართკუთხედი. ეს ნიშნავს, რომ გარდა ამ დიაპაზონისა სხვა სიხშირეები სიგნალში აღარ არის, ისინი მოჭრილია.

ვიბროაკუსტიკური დიაგნოსტიკის ამოცანებში ხშირად საჭიროა ამ გაფილტრული სიგნალის შემდგომი დამუშავება, კერძოდ, ჰილბერტის გარდაქმნა შემომვლების მოსაძებნად, შემდეგ ფურიეს სპექტრალური გარდაქმნა და მიღებულ სპექტრში დაბალსიხშირული მდგენელების მოძებნა.

ქვემოთ ნახ.3.14 -ზე წარმოდგენილია ასეთი პროცედურები MathCad-ის გარემოში.



ნახ.3.14. მაღალსიხშირული ვიბრაციული სიგნალის შემომვლების დაბალსიხშირული სპექტრალური მდგენელები


თავი 4

ვარციხე ჰეს-ის ჰიდროენერგოაგრეგატების ვიბრაციული მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევა

4.1. გაზომვის მეთოდოლოგია და მიღებული ვიბრაციული სიგნალის ანალიზი


ჰიდროენერგოაგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობათა ვიბრაციული მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის საშუალებების დანერგვა პრაქტიკაში ითხოვს მათი ვიბრაციული ველების ღრმა დეტალურ ცოდნას. ამისათვის საჭიროა ჩატარდეს ვიბრაციული მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევები, რათა შესწავლილ იქნას ვიბრაციების ამპლიტუდური და სიხშირული მახასიათებლები ვიბრაციების გენერირების სრულ დიაპაზონში. ქვემოთ მოცემულია ასეთი კვლევების შედეგები ვარციხე ჰეს-ის ჰიდროენერგოაგრეგატების მაგალითზე.

გაზომვები ჩატარდა სამივე (ვერტიკალური, ტანგენციური, რადიალური) მიმართულებებით აგრეგატების ოთხ ვიბროაქტიურ წერტილში (ვარციხე ჰეს-ზე). ეს წერტილებია - ტურბინა, ქვედა საკისარი, ზედა საკისარი და "კომბინატორი", როგორც ეს ნახ.4.1-ზე არის ნაჩვენები.



ნახ. 4.1. ჰიდროენერგოაგრეგატების გაზომვების წერტილების სქემა

გამოყენებული იქნა ვიბრომზომი აპარატურა ВШВ-003 (სიზუსტის კლასი 1. ГОСТ17187-81) და ვიბროაჩქარების პიეზოსენსორები ДН -3 (სიხშირის დიაპაზონი 10 - 4000 ჰც) (სურ.4.)1. სამწუხაროდ აღნიშნული სიხშირული დიაპაზონი ნიშნავს იმას, რომ 4000 ჰც ზემოთ და 10 ჰც ქვემოთ (ინფრაბგერითი რხევები) ამ სენსორებით შეუძლებელია ზუსტად გაანალიზდეს ვიბრაციები, რაც ცუდად გამოისახება შედეგებში. არ მოჩანს პირველი ძირითადი და ფრთის ჰარმონიკები და სუბჰარმონიკები, რაც არ იძლევა შესაძლებლობას დიაგნოსტიკება გავუკეთოთ მნიშვნელოვან ცვთის დეფექტებს და აგრეთვე შეუძლებელია სრულიად გავანალიზოთ მაღალსიხშირული ვიბრაციების შემომვლელის სპექტრი მოდულირებული რხევების ავტორხევების და კავიტაციის წარმოშობის შემთხვევაში. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვარციხე ჰესის ჰიდროენერგოაგრეგატები დაბალი ბრუნთა რიცხვის აგრეგატებია და ვიბროაქტიური კვანძების ტექნიკურ მდგომარეობათა სურათის მისაღებად საჭიროა სპეციალური ვიბრომზომი აპარატურა, ფართე სიხშირული დიაპაზონით - 0 – 20 კჰც და ზევით. საჭიროა, რომ გაზომვის სიხშირულ დიაპაზონში მოხვდეს, როგორც აგრეგატის ძირითადი ბრუნვითი სიხშირეები, ასევე სენსორების საკუთარი სიხშირეები და ცალკეული კვანძების საკუთარი სიხშირეები.



სურ. 4.1. ვიბრომზომი და ვიბროაჩქარების სენსორი


აგრეთვე გამოყენებული იქნა თანამედროვე, სპეციალურად შექმნილი პორტატული ვიბრომზომი VM 6360 (სურ. 4.2).



სურ. 4.2. პორტატული ვიბრომზომი მოწყობილობა

ვიბრომეტრი (სურ. 4.2) VM-6360 არის მცირე გაზომვების მქონე პორტატული ვიბრომზომი, რომელიც გაზომვისთანავე გვაძლევს მონაცემებს მის მცირე ზომის დისპლეიზე.

სენსორები მაგრდებოდა გასაზომ ზედაპირზე მაგნიტისა და პრიზმის მეშვეობით, როგორც ეს ნახ. 4.2 -ზე არის ნაჩვენები.



ნახ.4.2. მზომი კვანძი

ვერტიკალური მიმართულებით გაზომვისას მზომი კვანძი ბრუნდებოდა 90 გრადუსით საკუთარი ღერძის მიმართ და შემდგომ ზომავდა ტანგენციური მიმართულებით. გაზომვების სიზუსტე იყო ± 1 ძნ. ხელსაწყო სრულიად გამოსადეგია ფარდობითი ვიბრაციების და შეფასებითი გაზომვებისას, მით უმეტეს, რომ ხდება ორი და რამოდენიმე გაზომვის შედეგების შედარება ერთმანეთთან. გაზომვებისას 20-30 წამიანი ვიბროსიგნალების მონაკვეთები იწერებოდა კომპიუტერში სპეციალური კომპიუტერული პროგრამით და შემდეგ ხდებოდა მათი დამუშავება და ანალიზი ლაბორატორიულ პირობებში. ვიბროსიგნალები ციფრულად მუშავდებოდა, როგორც სპეციალური კომპიუტერული პროგრამით, ასევე MathCad-ის გარემოში.

განსაზღვრული და გაანალიზებული იქნა მოხსნილი სიგნალების შემდეგი ვიბრაციული მახასიათებლები:

- ვიბროაჩქარების სიგნალების ფორმები;
- სიგნალების საშუალოკვადრატული მნიშვნელობები - RMS, რომლებიც სიგნალების ვიბრაციული ენერჯის პროპორციულია).

სადაც RTS – არის Real Time Series - ვიბრაციული ციფრული სიგნალების ამპლიტუდების გაზომილი მნიშვნელობები, $i = 0, 1, 2, \dots, N$ - ვიბრაციების განხილული რეალიზაციის წერტილების ნუმერაცია. RMS-ის (საშუალოკვადრატული მნიშვნელობა) ზრდა მიანიშნებს ვიბრაციების დონის ზრდას:

$$RMS := \sqrt{\frac{1}{N-1} \cdot \sum_{i=0}^{N-1} [(RTS^{<1>})_i]^2}$$

